



# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000034590860218

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46  
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 14

07 / მაისი / 2018 წ.

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქვ ალვანში მდებარე ე.წ. „შინმოსვლელოთა სკვერში“ 81კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გაცემის თაობაზე, თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ა. ქვეპუნქტის, 4-ე და 5-ე პუნქტების, „მუნიციპალური ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, სანყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის სანყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების, შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

### გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს პირდაპირი განკარგვის წესით, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქვ ალვანში მდებარე ე.წ. „შინმოსვლელოთა სკვერში“ 81კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის (საკადასტრო კოდი: 50.03.33.472) აღნაგობის უფლებით მოქალაქე გელა ხახიძისათვის გადაცემა:
2. დამტკიცდეს პირდაპირი განკარგვის წესით გასაცემი ობიექტის, სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საფასური- **100.0 ლარის** ოდენობით:
  - სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 10 წელი.
3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41)

